უფასო

ჩემი გაზეთი

31 აგვისტო
2017 წელი

№7 (25)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი

იმის გასარკვევად, თუ როგორია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომა შშმ პირთა მიმართ და რა აქტივობებია დაგეგმილი მიმდინარე წელს, „ჩემი გაზეთი“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველს შშმ პირთა საკითხებში ბატონ გოჩა გრძელიძეს ესაუბრა:

ინობვლემების მოგვაჩება ნუსიდან ჯაიწყო

საქართველოს ხელისუფლების მიერ, 2013 წელს გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირებით, ათწლეულობით უყურდღებოდ მიტოვებული შშმ პირთა პრობლემური საკითხებისადმი მიდგომა ფუნდამენტურად შეიცვალა, საქართველოს მთავრობამ მიიღო არაერთი განკარგულება და დადგენილება შშმ პირთა უფლებების დასაცავად, №76-ე განკარგულების თანახმად, მუნიციპალიტეტებს დაევალათ შეექმნათ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოები, როგორც გამგებლის სათათბირო ორგანო.

ამ მიმართულებით ჩვენი მუნიციპალიტეტი მოწინავეთა რიგებშია, გასულ წელს კონფერენციაზე სწორედ ბაღდათის მუნიციპალიტეტის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება დასახელდა სანიმუშოდ და სახელმძღვანელოდ მიეთითა სხვა მუნიციპალიტეტებს. აღსანიშნავია, რომ საბჭოს მუშაობა ძალზე ეფექტურია და მის ყოველ სხდომაზე გატანილ საკითხებს მოსდევს კონკრეტული შედეგები.

ადგილობრივი ხელისუფლების და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ დღეს ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ეტლით მოსარგებლე შშმ პირი უზრუნველყოფილია ეტლით. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან მოლაპარაკებების შედეგად უახლოეს დღეებში კვლავ ველოდებით რამდენიმე ეტლს.

რაც შეეხება იმ აქტივობებს, რომლებიც განხორციელდა და დაგეგმილია მიმდინარე წელს, ნამდვილად გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, რადგან 2013 წლიდან შშმ პირთა პრობლემური საკითხების გადაჭრის მასშტაბები ყოველწლიურად იზრდება. უკვე რამდენიმე წელია ჩვენს მუნიციპალიტეტში საზეიმო ვითარებაში აღინიშნება შშმ პირებთან დაკავშირებული თარიღები: 21 მარტი – დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, 2 აპრილი – აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე, 14 ივნისი – საქართველოში შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, 3 დეკემბერი – შშმ პირთა საერთაშორისო დღე.

წელსაც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით საზეიმო ვითარებაში, შშმ პირების მაქსიმალური ჩართულობით განხორციელდა აღნიშნული ღონისძიებები, ხოლო შშმ პირთა უფლებების დაცვის დღეს – 14 ივნისს ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, სადაც მოწვეული იყვნენ ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები. შშმ პირების გადაწყვეტილებით, საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხის ნაწილი (500 ლარი) ჩაერიცხა სოფ. შუბანში მცხოვრებ მარტოხელა ეტლით მოსარგებლე შშმ პირს ზურაბ ხაჭიპერაძეს, ნაწილი კი (2040

გაგრძელება მე-3 გვ.

აგვისტოს ხანძარი

ბორჯომის ხეობასა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მძვინვარე „აგვისტოს ხანძარმა“ გვარიანად აზარალა სახელმწიფო. რომ არა ქართველი მეხანძრეების, ჯარისკაცებისა და უცხოელი პარტნიორების დახმარება, ზარალი გაცილებით მეტი იქნებოდა.

„ადამიანურად მადლობა მინდა გითხრათ თქვენი თავდადებისათვის და გმირობისთვის. გულით ვამაყობ, რომ ასეთი ვაჟკაცები ჰყავს ჩვენს ქვეყანას.“ – ასე მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მეხანძრე-მაშველებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს, ჯარისკაცებს, მეტყევეებსა და ექიმებს. „თქვენ გადაარჩინეთ ათასობით ჰექტარი ტყე. ცუდია რაც მოხდა, მაგრამ გაცილებით ცუდი შეიძლება მომხდარიყო, რომ არა თითოეული თქვენთაგანის გმირობა. მადლობა ყველას“ – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 650 თანამშრომელი, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 900 თანამშრომელი, მათ რიგებში არიან მეხანძრე-მაშველები, სასაზღვრო პოლიციის 20 მფრინავი. ასევე, ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები, პოლიციელები, ექიმები, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის სექტორში მომუშავე კომპანიების წარმომადგენლები. გამოყენებული იყო ათეულობით ერთეული მძიმე ტექნიკა, ასევე ავიაცია. სტიქიას ებრძოდა თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის და საინჟინრო ბრიგადის ათასზე მეტი სამხედრო. ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ჩვენ ქვეყანას დახმარების ხელი გაუწოდეს აზერბაიჯანის, თურქეთის, ბელორუსისა და სომხეთის სახანძრო-სამაშველო სამსახურებმა.

საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 36 25/08/2017

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გასაკრავად ადგილების გამოყოფის შესახებ

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის, ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკურმა სუბიექტებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსა და მუნიციპალიტეტის გამგებლის არჩევნებში, ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და შეკრებების ჩასატარებლად თანაბარი პირობებით შეუძლიათ ისარგებლონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი შენობა-ნაგებობებით:

ა) არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი-„ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდი“-ს სარგებლობაში არსებული:

ა.ა) რ. ლაღიძის სახელობის კულტურის სახლის შენობით (ქ. ბაღდათი კახიანის ქ. N 1);

ა.ბ) ახალგაზრდული ცენტრის შენობით (ქ. ბაღდათი რუსთაველის ქ. N 31)

ა.გ) სამუსიკო-სახელოვნები ცენტრის შენობებით (ქ. ბაღდათი რუსთაველის ქ. N 36; და სოფ. წითელხევი, სახელოვნებო სკოლის შენობა);

ბ) არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი-„ბაღდათის სპორტული სკოლის“ დარბაზი (მისამართი: ქ. ბაღდათი ნინოშვილის ქ. N 6);

გ) არასამეწარმეო(არაკომერციული)მ პირი-„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი საირმე“-ს შენობა;

დ) არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი-„ბაღდათის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ შენობა.

ე) არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი- „ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი“ ბიბლოთეკის შენობა;.

ვ) სოფ. დიმის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. დიმის ადმინისტრაციული ერთეული);

ზ) სოფ. წითელხევის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. წითელხევის ადმინისტრაციული ერთეული);

თ) სოფ. ვარციხის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. ვარციხის ადმინისტრაციული ერთეული);

ი) სოფ. პირველი ობჩის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: სოფ. პირველი ობჩის ადმინისტრაციული ერთეული);

კ) სოფ. საკრაულას ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (მისამართი: სოფ. საკრაულაის ადმინისტრაციული ერთეული);

ლ) სოფ. ზეგნის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: სოფ. ზეგნის ადმინისტრაციული ერთეული);

მ) სოფ. როკითის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (მისამართი: სოფ. როკითის ადმინისტრაციული ერთეული);

ნ) სოფ. როხოს ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (მისამართი: სოფ. როხოს ადმინისტრაციული ერთეული);

ო) სოფ. მეორე ობჩის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: სოფ. მეორე ობჩის ადმინისტრაციული ერთეული);

პ) სოფ. ფერსათის ადმინისტრაციული ერთეულის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. ფერსათის ადმინისტრაციული ერთეული);

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ საზღვრებში (ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე) წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტსიასთან) დაკავშირებული საარჩევნო მასალების გასაკრავ-გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს;

ა) მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სტენდები სააგიტაციო მასალებისათვის (თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთ ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს: სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A) ფორმატი;

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაშ\ი არსებულ სამგზავრო ტრანსპორტის მოსაცდელებში;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაშ\ი არსებულ გარე განათების ელექტრო ბოძებზე;

დ) საამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე;

3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აიკრძალოს სააგიტაციო მასალებისა და პლაკატების გაკვრა შემდეგ შენობა-ნაგებობებზე:

ა) საკულტო ნაგებობებზე;

ბ) კულტურულუ მემკვიდრეობის ძეგლზე და შენობა-ნაგებობებზე;

გ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებულ ადმინისტრაციულ შენობებზე (საბავშვო ბაგა-ბაღების, სამედიცინო ამბულატორიის შენობა-ნაგებობები);

დ) სასამართლოების, სამხედრო შენაერთების, იუსტიციის სახლების, პოლიციის, სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობა-ნაგებობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში;

ე) საგზაო ნიშნებზე.

4. ამ განკარგულების მეორე მუხლით განსაზღვრული ადგილების(ობიექტების) გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

5. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

6. ამ განკარგულების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს, განკარგულების ქსეროასლი გადაუგზავნოს N 52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიას და უზრუნველყოს განკარგულების განთავსება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად და საარჩევნო სააგიტაციო მასალების გასაკრავად ადგილების გამოჰყოფის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 ივნისის N 42 23 განკარგულება.

9. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 3 დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N 11.

გრიგოლ მაჩიტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

კოტე ფოცხვერაშვილის საქმე და სახელი

2004 წლის სექტემბერში, სოფელ წითელხევში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით დაარსდა სახელოვნებო სკოლა, რომელიც დიდი ქართველი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჰიმნის, „დიდების“ მუსიკისა და ტექსტის ავტორის, ჩვენი თანასოფლელის ბატონი კოტე ფოცხვერაშვილის სახელს ატარებდა (კ. ფოცხვერაშვილი დაიბადა სოფ. სვირში, მაგრამ მისი მამა მღვდლად მოავლინეს სოფ. სადემეტრაოში, ამიტომ ისინი საცხოვრებლად ამავე სოფელში გადმოვიდნენ).

სკოლის დაარსების იდეა ჩემი გახლდათ. 15 წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი წითელხევის საჯარო სკოლასთან არსებულ სამუსიკო სტუდიას და ვხედავდი, რომ სოფელს ჰქონდა შესაძლებლობა სკოლის გახსნისა, მას ჰყავდა და ჰყავს არაჩვეულებრივად ნიჭიერი ახალგაზრდობა, ეს სკოლა კი, თავ-თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით, დააკვალიანებდა ახალგაზრდებს და მისცემდა საშუალებას, სწავლა გაეგრძელებინათ მომდევნო საფეხურზე სახელოვნებო განხრით.

2000 წლის ზაფხულში, სოფელმა ქალბატონი თინა გაბრიჩიძის ინიციატივით (კულტურის სახლის დირექტორი), გრანდიოზულად აღნიშნა ბატონი კოტეს დაბადებიდან 120 წლის იუბილე. მოწვეულ სტუმრებს შორის ბრძანდებოდნენ კომპოზიტორის ქალიშვილი დოდო ფოცხვერაშვილი და მისი შვილიშვილი, ცნობილი კომპოზიტორი, ბატონი გოგი ჩლაიძე. სწორედ ამ საღამოზე გამჟღავნდა ჩემი იდეა სკოლის დაარსებისა. ჩემი სიტყვები სცენიდან: „მე აუცილებლად დავაარსებ ამ სოფელში სახელოვნებო სკოლას, რომელიც ფოცხვერაშვილის სახელობის იქნება“, – ღირსეულად მიიღო საზოგადოებამ, განსაკუთრებით აღფრთოვანდა ქალბატონი დოდო, ამობრძანდა სცენაზე და გადმომცა სახლიდან წამოღებული მამის დიდი ფოტოსურათი წარწერით: „წითელხევის კ. ფოცხვერაშვილის სახელობის ხელოვნების სამუსიკო სკოლას კოტე ფოცხვერაშვილის ქალიშვილისგან“ პატივისცემით დოდო ფოცხვერაშვილი. ამ ფაქტმა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დააჩქარა ეს საქმე და დამარწმუნა ჩემი იდეის ხორცშესხმის აუცილებლობაში. მაშინ სოფლის გამგებელი ბატონი ფრიდონ მაჩიტაძე გახლდათ, მასთან შეთანხმებით დავიწყე ეს საქმე და, აი, 2004 წლის სექტემბერში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და კულტურის სამინისტროს უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა სკოლა.

სკოლამ არსებობა 130 მოსწავლით დაიწყო. თავიდან მხოლოდ ორი განყოფილება ფუნქციონირებდა, ამჟამად კი ოთხი – 1. სამუსიკო, 2. სახვითი, 3. ქორეოგრაფიული, 4. თეატრალური. სკოლა 5 სოფელს ემსახურება: წითელხევი, ფერსათი, შუბანი, როხი და ვარციხე. გარდა მოწვეული სპეციალისტებისა, დავასაქმეთ ადგილობრივი პედაგოგები, დღიდან დაარსებისა გვქონდა უამრავი წარმატება, დიპლომები, მედლები, იყო სხვადასხვა კონკურსსა და ფესტივალში მონაწილეობა. რამდენიმე მოსწავლემ სწავლა განაგრძო ხელოვნების განხრით, სკოლის შექმნის მიზანიც ეს იყო, მან თავისი არსებობა გაამართლა.

2018 წლის გაზაფხულზე ჰიმნ „დიდებას“ 100 წელი უსრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით დაგეგმილია უამრავი ღონისძიება, ჩართულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩვენც ვეცადეთ ჩვენი ღირსეული წვლილი შეგვეტანა ამ საქმეში და სკოლაში გავხსენით ბატონი კოტეს სამუზეუმო ოთახი, საწყისი ეტაპისთვის აქ მხოლოდ მისი და მისი ოჯახის წევრების ფოტოებია წარმოდგენილი, ვაპირებთ ქალბატონი მარი ჩლაიძის (გ. ჩლაიძის მეუღლე) დახმარებით (როგორც მან დამპირდა – გადმომცა კიდეც 2 ძველისძველი აფიშა), გაიხსნება თუ არა კომპოზიტორის პირადი არქივი, მომაწვდის უამრავ საინტერესო მასალას ბატონი კოტეს შესახებ.

არაჩვეულებრივად საინტერესო მოსასმენია ჩვენი სოფლის უხუცეს მკვიდრთა მონათხრობი (II წითელხევიდან) ბატონი კოტეს შესახებ, მათაც წინაპრებისგან იციან გადმოცემით, თუ როგორ იდგა ეს ბუმბერაზი, არაჩვეულებრივი გარეგნობის ადამიანი რაღაც შემაღლებულ ადგილას 50 წლის ასაკში და რა თბილი, ტკბილი სიტყვებით მიმართავდა სოფლის ახალგაზრდობას, თუ როგორ უნდა ეშრომათ, ესწავლათ და ეღვაწათ, მან თავისი სახლი და კარ-მიდამო გადასცა სკოლას საჩუქრად (ახლანდელი წითელხევის II საჯარო სკოლა).

აქ აღარ მოვყვები ბატონი კოტეს მრავალმხრივი ნიჭისა და დამსახურებების შესახებ, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს, შევეხები მხოლოდ ერთ ფაქტს. ჰიმნმა „დიდებამ“ დიდი უსიამოვნება მოუტანა კომპოზიტორს, მისი ნაწარმოებების უმრავლესობა არ ქვეყნდებოდა, ამის გამო წლების განმავლობაში იყო უმუშევარი. რეპრესიას განიცდიდა არა მხოლოდ ბატონი კოტე, არამედ მისი ოჯახის წევრებიც. იგი დაიბარეს და ბრალად დასდეს, რომ მენშევიკებს უმღერა თავისი ჰიმნით. მისი პასუხი ასეთი იყო: „მე მენშევიკებს კი არა დამოუკიდებელ საქართველოს ვუმღერეო“, სწორედ ამის დასტურია მის ჰიმნზე დაწერილი სიტყვები: „საუდიდებლად ქართველ ერისა, იუღერეთ სიმნო ოქროისანო“, რომლითაც მან გზა დაულოცა დამოუკიდებელ საქართველოს.

ჰიმნის დაწერის თარიღად 1918 წლის 9 აპრილი ითვლება, ეს გახლდათ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადების დღე, ამ ჰიმნით შეეგება ქართველი ერი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს, ხოლო 26 ივნისს საქართველოს მთავრობის ბრძანებით იგი შესრულდა 4 სახელმწიფოს წარმომადგენლობის წინაშე, საქართველოში მყოფმა უცხოელებმა, კერძოდ, გერმანელებმა და ინგლისელებმა, ეს ჰიმნი თავიანთ ქვეყნებში გააგზავნეს.

ოთახ-მუზეუმის გახსნა, ჯერ მხოლოდ დასაწყისია. ბევრი რამის გაკეთებას ვაპირებთ, გვერდით მიდგას არაჩვეულებრივი ქალბატონი თინა გაბრიჩიძე და მთელი პედაგოგიური კოლექტივი, ასევე საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარებისა გვეიმედება. ვაპირებ გამოვცე წიგნი, მიძღვნილი ბატონი კოტეს ხსოვნისადმი, რომელშიც თავმოყრილი იქნება სოფ. II წითელხევის მკვიდრთა მონათხრობები კომპოზიტორის ცხოვრებისეულ დეტალებზე. ძალიან დიდ დახმარებასა და თანადგომას გვპირდება კომპოზიტორის ოჯახი, ქალბატონი მარიამი (კომპოზიტორის რძალი) გამოთქვამს მზაობას მოგვაწოდოს ბევრი საინტერესო მასალა ბატონი კოტეს შესახებ:

მაია გუგელაძე
საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი

მეტი ქალის ხმა!

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ ბაღდათის ახალგაზრდულ ცენტრში გამართა პროექტის – „მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ პრეზენტაცია. პრეზენტაციას დაესწრნენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში მოქმედი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც თავადაც ჩაერთვებიან პროექტის განხორციელებაში.

პროექტის მიზანია იმერეთის მხარეში პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებში ქალი ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ასახვის ხელშეწყობა და მათი ადვოკატირება.

პროექტის შედეგად, იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს ექნებათ ინფორმაცია ქალი ამომრჩევლების საჭიროებების შესახებ. საპროექტო ჯგუფის მიერ მონიტორინგის განხორციელების საფუძველზე შესაძლებლობა გვექნება, შევაფასოთ, მოხდა თუ არა საარჩევნო პროგრამებში ქალი მოსახლეობის ინტერესების ასახვა და მათი გადაჭრისთვის ზრუნვა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება აქტივობები, რომელიც მიმართული იქნება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და კანდიდატების ინფორმირებისაკენ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მომზადდება 12 სიუჟეტი იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში ქალი ამომრჩევლების საჭიროებების შესახებ, ასევე თავად პროექტის ბენეფიციარებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო და რადიო გადაცემებში. პროექტის ფარგლებში იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებში შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოებს წარედგინება შემუშავებული რეკომენდაციები და ფოკუს ჯგუფის ინტერვიუების შედეგად გამოვლენილი პრობლემები.

„რომკატელ ინდუსტრიის“ სპეციალისტები №2 საჯარო სკოლაში

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – საქართველოს“ (მილენიუმი) ერთ-ერთ პროექტში, რომელშიც ორგანიზაციამ 60 მილიონი დოლარი ჩადო და სკოლის სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს, ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის – ნინო მშვილდაძის ინიციატივით, ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა, წარმატებით გაიარა პროექტის ყველა ეტაპი და ფინალში გავიდა. პროექტის ფარგლებში სკოლას საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმის „რომკატელ ინდუსტრიის“ წარმომადგენლები ეწვივნენ. ამ ფირმამ უნდა მოახდინოს სკოლის ტექნიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შესწავლა და ამის საფუძველზე შეადგინოს სკოლის სარეაბილიტაციო პროექტი. „რომკატელ ინდუსტრიის“ წარმომადგენლები ბაღდათის №2 საჯარო სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შეხვდნენ და პროექტის წარდგენის შემდეგ სკოლის რეაბილიტაციის კომისია შეიქმნა (მის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექცია, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები, თვითმმართველობის წარმომადგენლები). ამჟამად მიმდინარეობს სკოლის ტექნიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შესწავლა და წლის ბოლოსთვის დასრულდება სკოლის რეაბილიტაციის პროექტის შედგენა.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 1 ᲒᲕ.

ლარი) ასევე ეტლით მოსარგებლე დათო ნატრიაშვილს, რომელიც ცხოვრობს მეორე სართულზე და მისთვის უმნიშვნელოვანესია გარე ლიფტის დამონტაჟება, ვინაიდან აღნიშნული თანხა არ არის საკმარისი, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ამ პრობლემის გადაჭრისთვის თანხა დაემატოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ლიფტის დამონტაჟება სექტემბრის პირველ ნახევარში დასრულდება.

ისევე, როგორც წინა წლებში, წელსაც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შშმ პირები გაემგზავრნენ კურორტ ურეკის ადაპტირებულ პანსიონატში 10 დღით, სულ 25 ბენეფიციარი, სადაც შშმ პირებს უტარდებათ სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის მერია ყოველ წელს ატარებს ტურნირს ნარდში და შაშში იმერეთის რეგიონში რეგისტრირებულ შშმ პირთა კავშირებს შორის, სადაც ჩვენი შშმ პირები აქტიურად მონაწილეობენ და პირველობას არავის უთმობენ. მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით შშმ პირები ჩართულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტში.

შშმ პირთა კავშირის „რწმენა და იმედი“-ს საერთო კრებისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს გადაწყვეტილებით, შერჩეული იქნა 10 შშმ პირი, რომლებიც გაივლიან ინგლისურისა და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელ კურსებს შშმ პირთათვის ადაპტირებულ დაწესებულებაში, პროექტში ჩართულები იქნებიან სპეციალური ტრენინგით გადამზადებული სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ შშმ პირებთნ ურთიერთობისა და სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე ექნებათ შესაბამისი სერთიფიკატები. აღნიშნული პროექტი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, პროექტის განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტმა უკვე გამოაცხადა ტენდერი, გამარჯვებული ორგანიზაცია უახლოეს მომავალში გამოვლინდება.

უკვე რამდენიმე წელია, რაც შშმ პირთა კავშირს „რწმენა და იმედი“ გამოყოფილი აქვს საოფისე ფართი, მიმდინარე წელს შშმ პირთა მოთხოვნის თანახმად, მიღებული იქნა აღნიშნული ოფისის გარემონტების გადაწყვეტილება, რაც ასევე დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

3 დეკემბერს იგეგმება შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც ტრადიციულად საზეიმო ვითარებაში ჩატარდება.

სიახლეა პარასპორტის განვითარების მხრივაც, შშმ პირებს სექტემბრიდან ეყოლებათ გადამზადებული და სერტიფიცირებული მწვრთნელი, რომელიც სპორტის დარბაზში ავარჯიშებს მათ შშმ პირთათვის შეძენილი სპეციალური სპორტული ინვენტარის გამოყენებით, ხოლო ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

ასევე რამდენიმე წელია ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შშმ პირები მიემგზავრებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ექსკურსიაზე ეკლესია-მონასტრების მოსალოცად.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ჩამოთვლილი აქტივობებისა და შშმ პირთა მიმართ ადგილობრივი ხელისუფლებისა და დეპუტატის მაქსიმალური მხარდაჭერისა, შშმ პირთა პრობლემები გაცილებით გლობალურია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ხელისუფლების სწრაფვა და ინტერესი შშმ პირთა პრობლემების მოგვარებისათვის სულ რამდენიმე წელს ითვლის და არსებული პრობლემების მოგვარება ფაქტობრივად ნულიდან დაიწყო, ეს იმ პირობებში, როდესაც წამყვანმა განვითარებულმა ქვეყნებმაც კი დღემდე ვერ მოახერხეს შშმ პირთა უფლებების დაცვის სრული უზრუნველყოფა.

და ბოლოს, მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული პროექტები კვლავაც გაგრძელდება და იგი სულ უფრო და უფრო მეტ შშმ პირს მოუტანს სიკეთეს, მისცემს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციისა და საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალებას.

მარიამ ოქროჭელიძე

ᲐᲒᲠᲝᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ პრეზენტაცია, რომელიც ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში. პროგრამა ინიცირებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მას ახორციელებს ა.(ა).ი.პ. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო “ერთიანი აგროპროექტის” ფარგლებში.

პროგრამა მოიცავს კომპონენტებს როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებისთვის. პირველადი წარმოების კომპონენტი – გრანტის მაქსიმალური მოცულობაა 15 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. გადამამუშავებელი წარმოების კომპონენტი – გრანტის მაქსიმალური მოცულობაა 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. პროგრამით გათვალისწინებული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების – 40% -ს, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა – 60% -ს.

პირველადი წარმოებისა და გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტების ფარგლებში დასაფინანსებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ხურმა; ვაშლი; ატამი; კივი; ბოსტნეული; დაფნა; თაფლი; კენკროვანი კულტურები; თაფლოვანი კულტურები.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს www.apma.gean დარეკეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 555 59 37 88; 599 58 98 28.

* * *

ამბროლაურის ცენტრალურ პარკში აგროტურისტული ფესტივალი ჩატარდა, რომელზეც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში არსებულმა საწარმოებმა და ფერმერულმა მეურნეობებმა საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს. ფესტივალი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ გახსნა და მრავალ სტუმართან ერთად დაათვალიერა ფერმერების მიერ გამოტანილი მრავალფეროვანი პროდუქცია. სტუმართა შორის იყვნენ ბაღდათელი ფერმერებიც, რომელთა ფესტივალზე მონაწილეობის ორგანიზება მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სოფლის მეურნეობის ბაღდათის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ძალისხმევით მოხერხდა, კოოპერატივმა „წყალობამ“ კი ბაღდათური თაფლით მოიწონა თავი.

ფესტივალის დაწყებამდე ბაღდათელმა ფერმერებმა ღვინის მარანი „როიალ ხვანჭკარა“ მოინახულეს. უნდა აღინიშნოს, რომ ფესტივალის მსვლელობისას სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ადგილზე დაეგემოვნებინათ და შეეძინათ ფერმერების მიერ წარმოდგენილი პროდუქცია. სპეციალურად ფესტივალისთვის შექმნილი დიზაინით კეთილმოწყობილი ტერიტორიის მთავარი ზონიდან მოშორებით სტუმრებისთვის მოეწყო მყუდრო დასასვენებელი ადგილი, ფერადი პუფებით, ჰამაკებით და, რა თქმა უნდა, რაჭული სამზარეულოთი.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

world Vision საქართველოს იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ხელშეწყობით ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში – წითელხევი, პირველი ობჩა და დიდველა – დაიწყო სანიტარული-ჰიგიენური პროექტის განხორციელება.

პროექტის მიზანია უმწეო და მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა იმისათვის, რომ მათ უზრუნველყონ ოჯახის წევრებისა და ბავშვების ჯანსაღი სანიტარული მდგომარეობა. პროექტის ფარგლებში მოხდა ოჯახებისთვის (ემზარ ხაჭიპერაძე სოფ. ობჩა, კობა სიორდია სოფ. დიდველა, ავთანდილ დოცენკო სოფ. წითელხევი) სამშენებლო მასალებისა და სანიტარული ინვენტარის მოწოდება, სამშენებლო სამუშაოები კი უნდა უზრუნველყოს ოჯახის წევრებმა. ეს არის თანამონაწილეობის პროექტი, რომელშიც ასევე ჩართულნი არიან ბაღდათის გამგეობის წარმომადგენლები, კერძოდ, წითელხევის, პირველი ობჩისა და დიდველას ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები, ისინი მხარდაჭერას გაუწევენ უმწეო ოჯახებს.

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრამდე მუნიციპალიტეტებმა უნდა მოახდინონ 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქმედო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს არსებული სიტუაციის შეფასებას და გამოწვევის იდენტიფიცირებას. ასევე შესაბამისი მიზნების განსაზღვრასა და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

აღნიშნული გეგმის შესამუშავებლად ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის №41 972 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი 20 წევრის შემადგენლობით. ბრძანებით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები და ვალდებულებები.

ჯგუფის შემადგენლობაში შედიან მინიციპალიტეტის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

ჯგუფის კოორდინატორმა ჯგუფის წევრებს გააცნო სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის გამოსაყენებელი მეთოდოლოგია. შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესებისა და ფაზების შესახებ.

* * *

ბაღდათის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების სამსახური სოფლებში შიდასაუბნო გზების გაწმენდით-სარემონტო სამუშაოებს აგრძელებს. სოფელ ზედა დიმში გამგებლის წარმომადგენლის, ეზეკი ჭრელაშვილის და მოსახლეობის მონადინებით, ტექნიკა ისტორიული, ზეგანი-ნერგეეთი-ბაღდათის დამაკავშირებელი 1,5-კილომეტრიანი გზის აღდგენაზე მუშაობდა. ეს გზა, რომელიც 30 წელი არ ფუნქციონირებდა, საკრაულისა და ზეგანის მცხოვრებლებს აკავშირებდა ნერგეეთთან (ვ. მაიაკოვსკი სახ. მუზეუმთან) და ქ. ბაღდათთან.

სამუშაოები უკვე დასრულდა, გზის „დატესტვა“ კი საინფორმაციო და ტურიზმის განვითარების ფონდის ჟურნალისტებმა კომგანის სამსახურის უფროსთან, ამბერკი რობაქიძესთან ერთად მოვახდინეთ.

ანა-რეკლი

12 აგვისტოს, ბაღდათისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებმა წითელ მინდორზე სახალხო დღესასწაული „ზეკარი“ აღნიშნეს. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო დოღი, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ბაღდათში წარმოებული პროდუქცია, ასევე გაეცნენ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდისა და მასთან არსებული მოლაშქრეთა კლუბ «დიდმაღალის» საქმიანობას, ხოლო დასასრულს კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაზე სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. სახალხო დღესასწაული „ზეკარი“ ახალი სახელით და ახალი ფორმატით პირველად გაიმართა და ის 2015 წელს ბაღდათისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების ძალისხმევით აღდგენილი „მწყემსის დღის“ გაგრძელებაა.

სახალხო დღესასწაული „ზეკარი - 2017“

ა – ავედით წითელ მინდორზე საინფორმაციო („ჩემი გაზეთი“), კლუბი „დიდმაღალი“, ბიბლიოთეკა, ინოვაციური ცენტრი, მაიაკოვსკის მუზეუმი. ავედით და დავეცით კარვების ბანაკი ქვასაყდარას კლდოვანი სვეტების ფერდობზე და კლუბ „დიდმაღალის“ პროექტი – „გაიცანი ბაღდათი“ – სახალხო დღესასწაულ „ზეკარი 2017“-ის სტუმრებს ჩვენებურად წარვუდგინეთ.

(ა) – ალაფუშეტ-დეგუსტაციები არ გვქონია, ჩვენი ნუგბარ-ნუგბარები „ინფოები“, სალაშქრო კარვები, ფოტოები და წიგნოვაციები იყო „წვეტიანი აზრების ოთახში“ მომზადებული.

ი – იკბინებოდა მზე და ირუჯებოდა სტუმარ-მასპინძელი ბაღდათი-ადიგენის ერთობლივ „ზეკარობაზე“ , დოღი, ეთნოკუთხეები, სალამ-ქალამი, მდუმარე დიდმაღალი და მხიარული ნაცნობ-უცნობები.

პ – პატივით მივიღეთ ჩვენს „კარვის ბანაკში“ სტუმრები და სახელდახელო ვიქტორინის ჩატარების მერე პატივითა და ანა ფხალაძის ფოტოებით ხელდამშვენებულნი გავისტუმრეთ.



ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯოტორეიშვილი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე,
ანჟელინა ჭავჭანიძე,
ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“